



www.gspsa.org.ge

საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება Georgian Society for the Protection and Safety of Animals

საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ., I კვარტალი, კორპ. 3ა
3a building, 1 quarter, 2 district of Nutsubidze Plateau, Tbilisi, Georgia
Tel. + 995 93 32 21 59 info@gspsa.org.ge

საქართველო, თბილისი, 2016 წლის 04 მაისი

ვეტერინარული დასკვნა

ძაღლის (ყურსამაგრის N 01743) მძიმე დაზიანების შესახებ

2016 წლის 04 მაისს 'საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების' - GSPSA - ს თავშესაფარი მიღებული იქნა ძაღლი (ყურსამაგრის N 01743), მეტისი, ძუ, სტერილიზირებული, ჩალისფერი, საშუალო ტანის, ყურბდაჭრილი. თავშესაფარში ძაღლის მიღების მიზეზი გახდა მისი მძიმე დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნა ცეცხლსასროლი იარაღის მიყენებით. რენტგენი გადაღებული იქნა 2016 წლის 04 მაისს 13:00 საათზე ვეტერინარულ კლინიკა „აიბო“-ს მიერ.

'საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების' - GSPSA - ს მთავარმა ვეტერინარმა ოთარ დავითიშვილმა ძაღლის დათვალიერებისა და რენტგენის სურათის საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

ძაღლს ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს დაზიანება 2016 წლის 04 მაისს სავარაუდოდ დილის საათებში. გამოყენებული არის საფანტის ტყვია, რომლებიც მრავლად აღინიშნება ორივე წინა კიდურის და გულ-მკერდის არეში. ვინაიდან საფანტი არის მოხვედრილი დიდი რაოდენობით კიდურებში, სავარაუდოდ გასროლა მოხდა ახლო მანძილიდან. დაზიანების გამო ძაღლს აღენიშნება სისხლდენა, შეშუპება და ძაღლი იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში.

მოხდა პირველადი ვეტერინარული დახმარება. დამუშავდა ჭრილობები, გაუკეთდა ანტიბიოტიკი. ძაღლი იმყოფება თავშესაფარში, საკარანტინო ვოლიერში ექიმ-ვეტერინარისა და კინოლოგის ზედამხედველობის ქვეშ. ძაღლის რეაბილიტაციას სჭირდება მინიმუმ ერთი თვე.

მთავრი ექიმი-ვეტერინარი:

ოთარ დავითიშვილი
579 99 82 82

